

ნინო მიქავა

### ნ. იგნატოვის „თბილისობა“

ქართული დაზგური ფერწერის ისტორია XVIII ს მიწურულიდან იწყება. ამ პერიოდის ნამუშევრებში მინიატურის გავლენა შეიმჩნევა. XIX ს-დან კი ასპარეზზე გამოდიან ახალგაზრდა მხატვრები, რომელნიც ევროპულ რეალიზმს რუსული აკადემიური სკოლის გავლით ქმნიან საფუძველს ქართული დაზგური ფერწერის ისტორიაში. მათ შემოქმედებაში არის რუსული კლასიციზმის გავლენები, მაგრამ ეს შერწყმულია ქართულ ხასიათთან. რუსული გავლენა, ვფიქრობთ, გასაკვირი არ უნდა იყოს, რადგან საქართველოში დაზგური ფერწერის ტრადიცია მანამდე არ არსებობდა და საფუძველი სწორედ გ.მაისურაძის, ა. ბერიძის, რ. გველესიანის, გ. გაბაშვილის, მ. თოიძის, ა. მრეველიშვილის და სხვათა შემოქმედებით ჩაეყარა.

ქართული მხატვრობის ისტორიაში დაიწყო პროცესი, რომელსაც კანონზომიერი გაგრძელება XX საუკუნის 10-20-იან წლებში ჰქონდა. ეს განუმეორებელი ფურცლებია ქართული ფერწერის ისტორიაში. ამ პერიოდში გამოდიან ასპარეზზე ღირსეულ წინამორბედთა მაგალითის მქონე, ახალგაზრდა პარიზში განათლება მიღებული ხელოვანები, რომელნიც ახერხებენ თანამედროვე გამოსახვითი ხერხების სინთეზს ქართულ ხასიათთან. ყველაზე საყურადღებო კი ის არის, რომ მათი ნამდვილი შემოქმედებითი სახის ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი ითამაშა არა რომელიმე ევროპულმა მიმდინარეობამ, არამედ ფიროსმანის მხატვრობის გენიამ. ფიროსმანის, რომელმაც მიუხედავად იმისა, რომ არასოდეს ყოფილა ევროპაში, საკუთარი შემოქმედებით შემოიტანა უაღრესად თანამედროვე ხედვა. მის ნამუშევრებში ახლებურად დაისვა ფერის, ფორმის, კომპოზიციის და თვით სიუჟეტის საკითხიც კი. მან თანამედროვე მხატვრებს ინტერპრეტაციის საშუალება მისცა. მის შემოქმედებაში ჩასახული სიახლეები თავისებურად გადაჭრეს ლ. გუდიაშვილმა, დ. კაკაბაძემ, ქართველმა ფუტურისტებმა.

ქართული სამხატვრო სკოლის განვითარების პროცესს კანონზომიერი გაგრძელება თანამედროვეობაშიც აქვს. ფიროსმანის შემოქმედებაში ჩასახული სიახლეების ინდივიდუალური გააზრებით შექმნა საკუთარი ხელწერა ნ. იგნატოვმაც.

მისი მოკლე ბიოგრაფიული ცნობები ასეთია. დაიბადა 1937 წ. 29 ივლისს თბილისში. 1955 წ. მომავალი შემოქმედი ი. ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო ტექნიკუმის თავისუფალი მსმენელი იყო.

1956-1962 წლებში სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში. ხანგრძლივი შემოქმედებითი მოღვაწეობის პერიოდში მან იმუშავა როგორც სცენოგრაფმა, აფორმებდა კინოფილმებს, საბალეტო და საოპერო სპექტაკლებს. მას აქვს შესრულებული ფერწერული ტილოები და წიგნის გრაფიკა, მაგრამ, ვფიქრობთ, მისი სახელი მონუმენტურ ფერწერასთან ასოცირდება. (ნიკოლოზ იგნატოვი ავტორია ნაწარმოებებისა, პანოების – ბიჭვინთის პანსიონატში – „სიმღერა საქართველოზე“ (1967 წ.); მთანმინდის რესტორანში – „ფიროსმანი“ (1971-72 წ.); თბილისის კინო სახლში – „ბერიკაობა“ (1975-76 წ.), სასტუმრო ვაკეში – „ლეგენდა ოქროს საწმისზე“ (1980 წ.).

იგი მონუმენტალისტი იყო და თანამედროვე გამოსახვითი ხერხები შესანიშნავად მოარგო მონუმენტურ ფერწერას. მისი სახელი ალბათ, უპირველესად მთანმინდაზე შესრულებულ პანო „ფიროსმანთან“ ასოცირდება. უნდა ვივარაუდოთ, რომ მას ფიროსმანის შემოქმედების საკითხი აწუხებდა. ნამუშევარში კარგად ჩანს ნიკოლოზ იგნატოვის შემოქმედებითი ხელწერა. პანოში ფიქსირდება მხატვრის რეჟისორულ ხედვას დამორჩილებული კომპოზიციური აგება, მისი მთლიანი წრიული ფორმა და რკალურ ხაზზე განვითარებული ძირითადი პასაჟების იმგვარად აქცენტირება, რომ მიგვითითოს თემის და კომპოზიციის მთავარ პერსონაჟ ფიროსმანზე.

აღსანიშნავია, რომ მხატვრის ინდივიდუალური ხელწერა აგრეთვე განხორციელებულია საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილ დაზგურ ფერწერის ნამუშევარში „თბილისობა“.

იგი ფანერზე გადაკრულ ქალაღზე ტემპერის ტექნიკითაა შესრულებული. ნამუშევრის კომპოზიციური წყობა, მისივე „ფიროსმანის“ მსგავსია, რაც შესაძლებლობას იძლევა ვივარაუდოთ, რომ ის ესკიზია მონუმენტური ფერწერისათვის.

სანამ უშუალოდ ნახატის მხატვრულ ღირსებებს შევეხებოდეთ, უნდა აღინიშნოს იგნატოვის აკადემიური მიდგომა საფუძველსა და მასალისადმი. მხატვარმა ქალაღი დაწებების ნაცვლად გადაჭიმა ფანერზე. გაითვალისწინა რა ტემპერის შემოქმედება წებოზე – შესაძლებელი იქნებოდა ქალაღის დასველება მასალის გამსხნელით. ეს გამოიწვევდა წებოსთან რეაქციას და ნამუშევარს გაუჩნდებოდა კომპოზიციისთვის დამანგრეველი ბორცვები. ამგვარი დამოკიდებულება პროფესიონალიზმს უსვამს ხაზს, რაც დასაწყისშივე დადებითად განგვანყობს როგორც სურათის, ისე მხატვრის მიმართ.

შემდეგი საყურადღებო მომენტი მართკუთხა ფორმის ფორმატია, რომლის სწორი შერჩევით მხატვარმა მოახერხა შეექმნა

რკალური ფორმის მრავალფიგურიანი, გაჭედილი, მაგრამ სივრცითა და ჰაერით სავსე კომპოზიცია.

მრავალფიგურიანი სიუჟეტი გაშლილია მტკვრის სანაპიროზე. აქაც, „ფიროსმანის“ მსგავსად, თემის ძირითადი აქცენტი ქართლის დედის სიმბოლურ გამოსახულებაზეა დასმული. ნახატი მრავალფიგურიანია და შესანიშნავად არის შერწყმული არქიტექტურულ გარემოსთან. არქიტექტურული ანსამბლის რითმული წყობა ქალაქის ბუნებრივი მთლიანობის განცდას ქმნის. ნაგებობების განლაგებაში შესანიშნავად არის ჩანერილი ადამიანების რიტუალური სვლა ქართლის დედის სიმბოლური გამოსახულებისკენ.

ნამუშევრის აღქმა იწყება სიღრმიდან, ფუნიკულიორიდან ცენტრისკენ, სიუჟეტის ძირითადი პასაჟისკენ. მიუხედავად მრავალფიგურიანობისა, მასში გააზრებული წონასწორობაა, რაც მიღწეულია მარჯვენა და მარცხენა მხარეს განვითარებულ რკალურ ხაზზე დასმული აქცენტებით. ისინი მოძრაობით, პოზით, მიუთითებენ ცენტრისკენ და ნამუშევარს კრავენ, როგორც კომპოზიციურად, ასევე სიუჟეტურადაც. ამგვარად ნახატში შექმნილია ლოგიკური და ამავე დროს მკაცრი წონასწორობა.

ნამუშევარში ნიკოლოზ იგნატოვი მთავორიან მდებარეობასაც იყენებს და გვიჩვენებს მთებიდან მომავალ ქართველთა რიტუალურ მსვლელობას, რომელიც თბილისის ყველაზე დაბალ ადგილას, რიყეზე სრულდება. ეს ადვილად შესაცნობი ხდება, რადგან მხატვარი არქიტექტურულ ანსამბლში გვიჩვენებს ბარათაშვილის ხიდს, მეტეხის ეკლესიას, თბილისის გალავანს და დარეჯან დედოფლის სასახლეს.

მხატვარი ნამუშევარში საქართველოსაც იაზრებს. პესპექტივაში იკითხება სხვადასხვა კუთხეებისთვის დამახასიათებელი არქიტექტურული ნაგებობები. გარეგნული იერსახით ქვეყნის სხვადასხვა მხარის წარმომადგენლებიც შეიცნობიან. ამგვარად ნიკოლოზ იგნატოვი თბილისობის დღესასწაულს სრულიად საქართველოს ზეიმად აქცევს და კომპოზიციური აგებით თემის შინაარსზე მიუთითებს.

კომპოზიცია რამდენიმე პლანიანია და დარღვეულია პერსპექტივის ურყევი კანონები. წინა პლანის ფიგურები უკანაზე მცირეა და უკანა პლანის მოდელები წინაში იჭრებიან, მაგრამ ეს თანამედროვე გამოსახვითი ხერხები აკადემიურ დონეზეა შესრულებული. იგნატოვი მოდელებიდან კადრის შემცირება-გაზრდითა და ფერის ინტენსიობით ახდენს აქცენტირებას, იმისა, რაც თემის ინტერპრეტაციით არის მოტივირებული. პარალელურად იგი ფერთა ურთიერთქმედების ხარჯზე ქმნის რთულ, გაჭედულ, მაგრამ სივრცითა და ჰაერით სავსე კომპოზიციას.

ამგვარად, მის ნამუშევარში იგრძნობა აკადემიური სწავლება, ჩანს განზრახვა – რეჟისორული ხედვით გადაჭრას შემოქმედებითი ამოცანა, მცირე ფორმატზე კადრის შემცირება-გაზრდით შექმნას „თბილისობის“ თეატრალიზირებული ზღაპარი, სადაც არა მხოლოდ თბილისი არამედ ერთიანი საქართველო წარმოჩინდება.

ნ. იგნატოვის ნამუშევარში ყოველი მხატვრული ხერხი თემას არის დამორჩილებული. სიუჟეტში კი ამაღლებული სადღესასწაულო განწყობის ჩვენებაა ჩაფიქრებული. შემოქმედი საერთო სიხარულით გამსჭვალული ხალხის მსვლელობას გვიხატავს თბილისობის დღესასწაულზე და მისთვის ამიტომაც არ არის მნიშვნელოვანი მოდელების პორტრეტული ასახვა. მხატვარს ფიგურები რამდენიმე ხაზით ძირითად ფორმებამდე დაჰყავს, მაგრამ პოზითა თუ მოძრაობით შესანიშნავად ქმნის მათ ხასიათს. ასეა გამოსახული ყარაჩოხელები, ტივზე მოქეიფენი, ქალაქელი მეარღნე, რომლებიც ჩაცმულობითა და პოზით ზუსტად ასახავენ ქალაქური ბოჰემური ცხოვრების პოეტურ შტრიხებს.

ნიკოლოზ იგნატოვი შემოქმედებითი ხედვით ასახავს თბილისობას, რომლის თითოეული მოდელი ამაღლებული განწყობის შემადგენელი ნაწილია. ამ არაჩვეულებრივ თემატურ-კომპოზიციურ ჰარმონიას შესანიშნავად ერწყმის მოცისფრო-მოღვინისფრო ფერადოვანი გამა. მთლიანი კომპოზიცია მოთეთრო-მონაცრისფროს, ცისფერისა და მოყვითალოს ვარიაციებით არის დაწერილი. ნამუშევარში გათამაშებული ყველა ფერი დომინირებს ქართლის დედის გამოსახულებაზე, რომელიც თემის ძირითად აქცენტია. მთელი კომპოზიცია ამ ფერების ნახევარტონების ვარიაციებია. ძირითად აქცენტებზე ფერი უფრო ინტენსიურია, დაქვემდებარებული მოტივები კი გაღიავებული ტონით არის დაწერილი. ნახატის დაწვრილებით დამუშავებულ ყოველ მონაკვეთზე ფერადოვანი ვარიაციებია. ფერადოვანი გამა ღია ტონებით არის შექმნილი, კოლორიტულობისთვის იისფერია გამოყენებული. ამგვარად ნამუშევარში ფერადოვანი თუ კომპოზიციური სტრუქტურა სიუჟეტურ ქარგას არის დამორჩილებული და შესანიშნავად გადმოსცემს ამაღლებულ სადღესასწაულო განწყობას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნამუშევარი გრაფიკულია, რაც შესანიშნავად ერწყმის ტემპერის ტექნიკას. მასალის სრულყოფილ გამოყენებაზე მიუთითებს აგრეთვე ფრთხილი, დაწვრილებითი ტონალური ცვალებადობით დაწერილი კომპოზიციის ერთგვარად გამჭვირვალე ფერადოვანი ფაქტურა.

ნიკოლოზ იგნატოვი ყველა ასპექტით – იქნება ეს კომპოზიციური გადაწყვეტა; საფუძვლისა, მასალისა თუ ფორმატის შერჩევა,

პროფესიონალიზმს ამყლავნებს. გამოსახვითი ხერხებით იგი თანამედროვეობას ეპასუხება. მისი რეჟისორული ხედვით აგებული კომპოზიციური სტრუქტურა შესანიშნავად აქცენტირებს ქალაქური თუ ეროვნული ცხოვრების ჩანახატებს და ყოველივე ეს ნახატს საოცარ თეატრალიზმს ანიჭებს.

ნახევარტონებში წერა და მოდელების ძირითად ხაზებში გამოკვეთა ფიროსმანის მხატვრობით შეიძლება იყოს განპირობებული, მაგრამ ნიკოლოზ იგნატოვი აკადემიურ დონეზე ქმნის რთულ თეატრალიზებულ კომპოზიციას, სადაც თემის ძირითადი პასაჟები რეჟისორული ხედვით არის აქცენტირებული. მასთან მეტისმეტად გაჭედილ კომპოზიციაში სივრცისა და ჰაერის ილუზია ფერით პერსპექტივის აგების ხარჯზეა მიღწეული. მისი რთული კომპოზიციური სტრუქტურა კი ხაზს უსვამს მხატვრის მონუმენტურ ფერწერაში მოღვაწეობას. ვფიქრობთ, ეს ასპექტები ქმნიან ნიკოლოზ იგნატოვის ინდივიდუალურ ხელწერას.

ქალაქური მოტივები, ჩანახატები თბილისის ბოჰემური ცხოვრებიდან არა ერთი ქართველი მხატვრის შემოქმედების თემა ყოფილა, მაგრამ არავის შეუქმნია „თბილისობის“ დღესასწაული, როგორც ქართული კულტურის ისტორიულ-ეთნოგრაფიული პორტრეტი. ეს ნამუშევარი ვფიქრობთ, ამ ასპექტითაც განსაკუთრებულია.

მხატვარი სიმბოლოებით გვესაუბრება. ქართლის დედის გამოსახულება მზითა და მთვარით ხელში, ალბათ ქართული კულტურის მითოლოგიური ბუნების სიმბოლოა და თითქოს მისი სხეულიდან გამოედინება ყველაფერი (მამაკაცები თასით ხელში მოწინებას გამოხატავენ ქალისადმი. ვაზის მოტივი ქალის ხელებქვეშ, სამი ეკლესია ერთგვარი მითითებაა საქართველოში მართლმადიდებლური რწმენისა და ქრისტიანობის ქალის მიერ შემოტანაზე.)

ვაზის მოტივები, ფიალები, ჭურები ღვინის კულტურის არსებობაზე მიუთითებს. ქართული ენის უძველესობაზე კი მემკვიდრე გვესაუბრება გრაგნილით ხელში.

ეროვნულობა არქიტექტურულ ანსამბლშიც ჩანს. მეტეხის ეკლესია, დარეჯან დედოფლის აივანი, თბილისის გალავანი, ვიწრო ქუჩები, ერთმანეთთან მიჯრილი სახლები, თალიანი აივნები და მასზე გადმოფენილი ხალიჩები – ძველი თბილისის ქალაქური თავისებურებებია. მხატვარი პერსპექტივაში ქართული კუთხეებისთვის დამახასიათებელ არქიტექტურულ ნაგებობებსაც გვიჩვენებს. ეროვნული ეგზოტიკა კომპოზიციის ყველა კუთხეშია. ქართული ცეკვა, ტივზე მოქეიფენი, ყარაჩოხელები, ჩარდახები და ქალაქელი მყარდნე კი ძველი თბილისური ბოჰემური ცხოვრებისა

და თუნდაც, იოსებ გრიშაშვილის, ლადო გუდიაშვილის შემოქმედების მშვენიერი გახსენებაა.

მხატვარმა მთელი საქართველო გააერთიანა ზეიმში. სამარადისოდ თაობებისთვის შექმნა მითი თბილისქალაქობის დღესასწაულის და სამშობლოს მშვენიერების შესახებ. უმნიშვნელოვანესი კი ის არის, რომ მხატვარმა თანამედროვე გამოსახვითი ხერხებით: კომპოზიციის რეჟისორული ხედვით, მოდელების სქემატური, მაგრამ ნამუშევრისთვის სრულყოფილი შინაარსობრივი მეტყველებით, ფერის არაჩვეულებრივი შეგრძნებითა და ყოველივე ამის სიუჟეტში გააზრებით აღწერა მთელი ქართული კულტურა. ეს ნამუშევარი ზომიერად სიმბოლური თხრობით თანამედროვე მხატვრულ ხერხებთან სინთეზურად არის შერწყმული. ნამუშევარი ამ ასპექტით ალბათ, საზოგადოების მუდმივ ინტერესსა და ყურადღებას დაიმსახურებს. მასში ქართული სივრცე თანამედროვეობის მაჯისცემითაა ასახული. ვფიქრობთ, ნამუშევარი ამ თვალსაზრისით არა მხოლოდ ეროვნული, არამედ ეპოქალურიც არის.

ნიკოლოზ იგნატოვმა შემოქმედებითობით, მშვენიერი ფორმით, ფერწერით, მოქალაქეობრივი სიყვარული დაამტკიცა სამშობლოს მიმართ. მან იმგვარად დახატა თბილისობის ზეიმი რომ მუდმივად შექმნის ნოსტალგიას ამ დღისადმი და გაგვახსენებს ჩვენი კულტურის საწყისების შესახებ.

დროთა დინება დაივიწყებს ტრადიციებს, მაგრამ ნიკოლოზ იგნატოვის „თბილისობა“ ალბათ, როგორც ისტორიული წყარო თაობებისთვის სამარადისოდ შეინარჩუნებს ინფორმაციას და ხიბლს ქართული კულტურის მიერ შექმნილი დღესასწაულის შესახებ. ამდენად, ნამუშევარს ისტორიულად აქტუალური მნიშვნელობაც გააჩნია. თანამედროვე გამოსახვითი ხერხებისა და ღრმა შინაარსის სინთეზი კომპოზიციასაც და მის ავტორისაც მარადისობას გადასცემს უკვდავსაყოფად.

ზეიმით უკვე აღვნიშნეთ, რომ ეს ნამუშევარი ესკიზია მონუმენტური ფერწერისათვის. ეს ვარაუდი დადასტურდა: აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში დაუნჯებული აღმოჩნდა 1981 წლის 3 მარტს გაცემული აქტი № 6. მასში აღნიშნულია, რომ მუზეუმის მიერ შექმნილ იქნა მონუმენტური კედლის მხატვრობისთვის შესრულებული ესკიზი „თბილისობა“. აღნიშნული ნამუშევარი ასევე ნახსენებია ვ. ტოლსტოის კატალოგში, სადაც ავტორი წერს, რომ ნ. იგნატოვი 1980 წელს პანო „ლეგენდა ოქროს საწმისზე“ მუშაობის დასრულების შემდეგ შეუდგა „თბილისობაზე“ მუშაობას. ამრიგად, ამ ორი ფაქტის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ნამუშევარი 1980 წელს არის შესრულებული.

ეროვნული სკოლა მხატვრული თანამედროვე აზროვნებითა და ღრმად ქართული სანყისებით XX საუკუნის დასაწყისში საბოლოოდ ჩამოყალიბდა. ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლი ფიროსმანის გენიამ შეასრულა. მისი სანყისებზე არაერთი ქართველი მხატვარი გაიზარდა, ეს კანონზომიერ პროცესი თანამედროვეობაშიც შესაბამისად გაგრძელდა. ნიკოლოზ იგნატოვის შემოქმედება შესანიშნავი დასტურია ამისა. ფერმწერი თავისი მოდერნისტული გამოსახვითი ხერხებით: კოპოზიციის რეჟისორული ხედვით, ფერის ღრმა შეგრძნებითა და სამშობლოს სიყვარულის გრძნობით არასოდეს დაკარგავს მნიშვნელობას და როგორც, პროფესიული ისე ეროვნული თვალსაზრისით ღირსეულ ადგილს დაიკავებს თანამედროვე სახვითი ხელოვნების ისტორიაში.

Nino Mikava

### **“Tbilisoba” der Nikolos Ignatoff** Zusammenfassung

In diesem Artikel handelt es sich um die im Georgischen Staatlichen S. Dschanaschia-Museum aufbewahrten Skitze, “Tbilisoba”. Dieses Gemälde wurde vom in 80-er Jahren tätigen Wandmaler Nikolos Ignatov geschaffen, der mehrere Arbeiten hinterlassen hat. Der wichtigste Vorteil dieses Künstlers ist Anpassbarkeit an die moderne monumentale Malerei. Unserer Meinung nach, stellt das oben erwähnte Ignatovs Gemälde Talent und Individualität dieses Künstlers hervorragend dar.

“Tbilisoba” ist für die Gesellschaft wenig bekannte Werkbankarbeit. Es wurde auf dem Furnier überspannten Papier anhand der Temperaturechnik ausgeführt, was seine akademische Einstellung zum Grund und Material bezeugt. Ignatov berücksichtigte die Einwirkung der Tempera auf den Klebstoff, wodurch der Materialauslöser das Papier nass machen könnte. Das könnte die Reaktion mit dem Klebstoff und das Entstehen der die Komposition zerstörenden Bildungen verursachen. Das rechtwinklige.

Format ermöglichte dem Maler halbkreisförmige, mannigfaltige, dichte aber auch mit Luft und Räumlichkeit durchdrungene Komposition zu schaffen.

Das Gemälde stellt den der Stadt Tbilissi gewidmeten Festtag “Tbilisoba” dar, den mehrere georgische Künstler als Thema auswählten, aber keinem von ihnen war es gelungen Tbilisoba als ein georgisches, kultur-ethnographisches Bild darzustellen. In dieser Hinsicht ist “Tbilisoba” ein besonderes Gemälde.

Der Inhalt des Bildes ist mit der komplizierten theatralesierten Komposition verschmolzen, in der die wichtigsten thematischen Passagen dem Regisseurischen Blickwinkel nach hervorgehoben wurden. Blau-weinfarbige Farbpalette betont erhabene, festliche Stimmung im Bild. Die Erschaffung der Perspektive durch die Farben verleiht der dichten Komposition viel Räumlichkeit und Luft.

Ignatov drückt in vielen Hinsichtlich sei denn, die Erschaffung der Komposition, die Auswahl des Grundes, des Materials oder des Formats seine Kunstfertigkeit aus.

Seine Ausdrucksmöglichkeiten entsprechen der Moderne. Seine regisseurisch dargestellte Kompositionsstruktur bildet die städtischen oder nationalen Lebensskizzen und das alles verleiht dem Bild Theatralik. Unseres Erachtens, bildet diese Tatsache Nikolos Ignatovs künstlerische Individualität.

Der Maler hat das ganze Georgien im Festgeschehen vereinigt. Er hat den ewigen Mythos der Schönheit des Tbilisobafestes und des Vaterlandes geschaffen. Das wichtigste ist, dass von Ignatof anhand der modernen Ausdrucksmöglichkeiten - regisseurische Darstellungsweise der Komposition, schematische aber auch dem Gemälde innewohnende vollständige inhaltliche Repräsentation, das ausgezeichnete Farbengespur und Vereinigung all dieser Möglichkeiten im gesamten Inhalt des Bildes - die ganze georgische Kultur beschrieben worden ist. Diese Arbeit samt ihrer gleichmassig symbolischen Erzielperspektive steht mit den künstlerischen Ausdrucksmöglichkeiten der Gegenwart im Einklang. In dieser Hinsicht wird „Tbilisoba“ immer größere Aufmerksamkeit geschenkt werden. In ihm wird der georgische Raum der Gegenwart entsprechend dargestellt.

In diesem Sinne halten wir das Gemälde, „Tbilisoba“ nicht nur für national wichtig, sondern auch für epochal.

Die Schaffung von Nikolos Ignatoff wird den ihm angemessenen Platz nicht nur in der nationalen Malerschule, sondern auch in der Geschichte der Weltkunst unbedingt erhalten.



